პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კავშირის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ც აკის ორგანო

№ 49 (5150) | სამშაბათი, 1 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში პ:

მკვლელთა, ჯაშუშთა, გამცემელთა, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ („პრავდის“ მოწვინავე).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).

ი. ურუაშვილი, გ. ყურაშვილი — შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს (ზელეტონი. მე-2 გვ.).

ს. სიგუა — დაუსწრებელი პედაგოგიური განათლება მეტ ყურადღებას საჭიროებს (ზელეტონი. მე-3 გვ.).

ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ თესვის მზადებას (მე-3 გვ.).

ჩამოსრჩენილი უბანი (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

სამხედრო მოქმედება ჩინეთში. (1-ლი გვ.).

ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების წინ. (1-ლი გვ.).

„საფრანგეთის მთავრობა რჩება საფრანგეთ-საბჭოთა პაქტის ერთგული“ (1-ლი გვ.).

ხელმოწერილია შეთანხმება სავაჭრო ბრუნვის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკის შორის 1938 წლისათვის (1-ლი გვ.).

მკვლელთა, ჯაშუშთა, გამცემელთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სსრ კავშირის პროკურატურის ცნობას, რომ ა. წ. 2 მარტს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ღია სასამართლო სხდომაზე დაიწყება განხილვა საქმისა შეთქმულთა იმ ჯგუფის დანაშაულობრივი მოქმედების შესახებ, რომელიც „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ სახელწოდებით არსებობდა. ჯაშუშურ, მავნებლურ, დივერსიულ და ტერორისტულ მოქმედებაში ბრალდების გამო, სასამართლო პასუხისგებაში მიცემული არიან ნ. ი. ბუხარინი, ა. ი. რიკოვი, გ. გ. იაგოდა, ნ. ნ. კრესტინსკი, ხ. გ. რაკოვსკი, ა. პ. როზენგოლცი, ვ. ი. ივანოვი, მ. ა. ჩერნოვი, გ. ფ. გრინკო, ი. ა. ზელენსკი, ს. ა. ბესონოვი, ა. იკრამოვი, ფაიზულა ხოჯაევი, ვ. ფ. შარანგოვიჩი, პ. ტ. ზუბარევი, პ. პ. ბულანოვი, ლ. გ. ლევინი, დ. დ. პლეტნევი, ი. ნ. კაზაკოვი, ვ. ა. მაქსიმოვი, პ. პ. კრიუჩკოვი.

ასეული მილიონობით მუშები, გლეხები, პატიოსანი ინტელიგენტები მთელს მსოფლიოში შეძრწუნებულ აღშფოთებითა და ზიზღით, როცა შეიტყობენ საშინელ შეთქმულებას, კომპრულ, გულშემზარავ დანაშაულობებს იმ საზიზღარი მკვლელების, ჯაშუშების, ფაშისტური შეთქმულების ბანდისას, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში“.

სსრ კავშირის შინსახკომის სახელოვანი ორგანოების მიერ მხილებული და ახლა სამართალში მიცემული საზიზღარი შეთქმულები მრავალი წლის განმავლობაში ჯაშუშებად იყვნენ უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში. გამოძიება ბოლომდე ჰგლეჯს ფარდას, რომელსაც ეფარებოდა საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტერი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მტერი—ტროცკი. დადასტურებულია, რომ იგი უკვე 1921 წლიდან ასრულებდა ჯაშუშურ სამსახურს უცხოეთის ერთი დაზვერვისათვის. 1926 წლიდან ტროცკი მიეყიდა უცხოეთის მეორე დაზვერვასაც.

ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის პირდაპირი მითითებით, უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოს გენერალურ შტაბებში ფართოდ მოფიქრებული და დამუშავებული გეგმების მიხედვით, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილენი ეწეოდნენ ჯაშუშობას, ანხორციელებდნენ მავნებლურ, დივერსიულ და ტერორისტულ მოქმედებას სსრ კავშირში.

მათ განიზრახეს, მოამზადეს და მოაწყეს საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილის, დაუვიწყარი, ძვირფასი სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობა. ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. ყოველად საზიზღარი საშუალებებით, რომელთა წარმოდგენაც კი ძნელია პატიოსანი ადამიანებისათვის, ფაშისტების, გულქვა მხეცი ექიმების დახმარებით მათ განახორციელეს ამხანაგების ვ. ვ. კუიბიშევის, ვ. რ. მენჟინსკის, ა. მ. გორკის ვერაგული მკვლელობა.

მათ, მხეცური, მგლური ბოროტებით შეპყრობილებმა ხელი აღმართეს ხალხის საქმის ერთგულ, კომუნიზმისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, დიდი რუსი მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის წინააღმდეგ. ეს იყო ფაშისტი მახინჯების საზიზღარი შურისძიება დიდი და კეთილშობილი ადამიანების მიმართ, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირეს მშრომელი კაცობრიობის სამსახურს.

ქალაქ გორკიში ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი ეჟოვი სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლის გამო ამბობდა: „ამ მსხვერპლს ჩვენ არასოდეს არ ვაპატიებთ. ამბ. კიროვის სიცოცხლეს ძვირად დაუსვამთ ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა ხროვას“.

მკვლელებს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“ ძვირად დაუჯდებათ ამხანაგების კუიბიშევის, მენჟინსკის, ა. მ. გორკის საუცხოო, ნათელი სიცოცხლე. ეს მკვლელობანი წარმოადგენენ კაპიტალისტური მტაცებლების მიერ ჩვენი სამშობლოს დამონების ჯაჭვისთვის გეგმის ნაწილს. ტროცკი, ბუხარინი, რიკოვი და სხვა გამცემლები იმპერიალისტურ მტაცებლებს შეჰპირდნენ, რომ უზრუნველჰყოფდნენ წითელი არმიის დამარცხებას და ამზადებდნენ ამ დამარცხებას სამხედრო საიდუმლოებათა გაცემით, ჯაშუშობით, დივერსიული და ტერორისტული აქტებით.

ტროცკი, ბუხარინი, რიკოვი და სხვა გამცემლები იმპერიალისტურ მტაცებლებს შეჰპირდნენ, რომ უზრუნველჰყოფდნენ საბჭოთა კავშირის დანაწილებას, მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შორეულ - აღმოსავლეთის პრიმორიეს ჩამოშორებას— და ისინი ამზადებდნენ ამ ჩამოშორებას ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, იმპერიალიზმის აგენტებთან შეთანხმებით.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი“ იყო საზიზღარი ბანდა პროფესიული მავნებლებისა, დივერსანტებისა, ჯაშუშებისა. მკვლელებისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს კაპიტალიზმის რესტავრაცია სსრ კავშირში. ეს „ბლოკი“ თავის რიგებში იზიდავდა ყველა იმ არამზადას, რომელნიც დარჩნენ სსრ კავშირში განადგურებული და მოსპობილი ექსპლოატატორული კლასებიდან და ხალხის მტრული პარტიებიდან. „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში“, როგორც გამოძიებამ დაადასტურა, ბინძურ კვანძად გადაინასკვნენ ესერები და მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და პროვოკატორები მეფის ოხრანკიდან.

ყველა ამ ბანდიტს, ჯაშუშს, პროვოკატორს აერთიანებდა და აერთიანებს ერთი რამ: გაშმაგებული, გააფთრებული, მხეცური სიძულვილი სოციალიზმისადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს. დამნაშავეთა ხროვას აქვს ერთი საზიზღარი ოცნება: კაპიტალიზმის რესტავრაცია, ბურჟუაზიის, მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების დაბრუნება ხელისუფლების სათავეში. შეთქმულები ხომ მთელ თავის სიცოცხლეში კაპიტალიზმის ინტერესებს ემსახურებოდნენ. იმათ, კაპიტალის მონებს, საშინლად სძულდათ თავისუფალი საბჭოთა ხალხი, ისინი ავრცელებდნენ საზიზღარ ბუხარინულ ცილისწამებას რუს ხალხზე, როგორც ზარმაც ხალხზე, რომელსაც კაპიტალისტისა და მემამულის მათრახი სჭირდებათ.

ისინი ამზადებდნენ ბურჟუაზიის მოსვლას უცხოეთის დაზვერვათა დახმარებით. ფაშისტური ბურჟუაზია მათ უყურებდა, როგორც თავისი ჯაშუშებისა და დივერსანტების მოწინავე რაზმს, იმედს ამყარებდა მათზე, როგორც „მეხუთე კოლონაზე“ მომავალი ომის დროს. კიროვის მოკვლის შემდეგ, კუიბიშევის, მენჟინსკის, გორკის მოკვლის შემდეგ მათ განზრახული ჰქონდათ მილიონობით მუშებისა და გლეხების ამოყლეტა. საბჭოთა ქალაქების დანგრევა, საბჭოთა ჭარხნებისა და კოლმეურნეობების განადგურება.

მათი საზიზღარი ოცნებანი ვერასოდეს ვერ განხორციელდებიან! მაცა საბჭოთა დაზვერვამ, რომელიც ფხიზლად დგას სამშობლოს და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, შესწყვიტა ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის საძაგელი მოქმედება. მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის განადგურება დიდ მოგებულ ბრძოლად ღირს.

საბრალდებულო სკამი—„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ სამარცხვინო გზის უკანასკნელი ეტაპია. ბანდიტების სახელებს საბჭოთა ხალხმა სამუდამოდ დაასვა შერცხვენისა და სიძულვილის დაღი. რასაც უნდა უწოდებდნენ თავისთავს ეს პირწავარდნილი გამცემლები—მემარჯვენეებს თუ „მემარცხენეებს“—ისინი მუდამ თავს ესხმოდნენ საბჭოთა ხალხს ზურგიდან. ისინი სარგებლობდნენ სიძნელეებით მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლაში, რათა ცდილიყვნენ დაემხოთ შშრომელთა ძალაუფლება, ძირი გამოეთხარათ მათი გამარჯვებისა და მიღწევებისათვის, დაებრუნებინათ ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის ბურჟუაზიული ბატონობის დრო.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ უკვე 1918 წელს, უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბრესტის ზავის დადების პერიოდში, ბუხარინმა და ბუხარინელებმა ტროცკისთან და „მემარცხენე“ ესერებთან ერთად მოაწყეს შეთქმულება ვ. ი. ლენინის, როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურის წინააღმდეგ. არამზადები მიზნად ისახავდნენ ჩაეშალათ ბრესტის ზავი, დაეხმოთ საბჭოთა მთავრობა, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი.

ლენინისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამ დანაშაულობათა თვალსაზრისით ცხადი და გასაგები ხდება ტროცკისტებისა და ბუხარინელების მთელი შემდგომი დანაშაულობრივი მოქმედება საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ.

შეთქმულებმა ვერ შესძლეს თავისი ბნელი განზრახვის განხორციელება, მაგრამ ამ განზრახვისათვის მათ თავი არ მიუნებებიათ. მუშათა და გლეხთა გამარჯვებანი, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, კაპიტალისტური კლასების ლიკვიდაცია, სოციალიზმის მიღწევები და ტრიუმფი სულ უფრო და უფრო აბოროტებდნენ ხალხის მტრებს. ისინი ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, ცდილობდნენ ჩაეშალათ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. პარტია, ლენინურ-სტალინური ც. კ-ის ხელმძღვანელობით, განუწყვეტლივ ამხელდა ტროცკისტებს და ბუხარინელებს როგორც კაპიტალისტური რესტავრაციის მქადაგებლებს, როგორც კონტრრევოლუციის აგენტებს, როგორც გამზეცებული კულაკების წინამძოლებს.

რაც უფრო აშკარავდებოდა მთელი ხალხის წინაშე მათი ნამდვილი სახე, მით უფრო ძლიერი იყო მათი სიძულვილი ბოლშევიკების პარტიისადმი. ტროცკისტები და ბუხარინელები, რომელნიც ინიღბებოდნენ, ორგულობდნენ. ყოველად საზიზღარ ხერხებს მიმართავდნენ, უტიფარ ბანდიტებად, ჩასაფრებულ ფაშისტ-მკვლელებად, ჯაშუშებად, დივერსანტებად გადაიქცნენ. არაფერი საერთო არ ჰქონიათ და არა აქვთ მათ საბჭოთა ხალხთან, ჩვენს სამშობლოსთან. საბრალდებულო სკამზე ისინი სხედან. როგორც სამშობლოს უსაზიზღრესი გამცემლები, როგორც ფაშისტურ დაზვერვათა მსახურები, როგორც გათახსირებული ჯაშუშები, როგორც საზოგადოების ნაძირალები. რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ დედამიწაზე პატიოსან ადამიანთა შორის.

ამ მახინჯთა დანაშაულობანი ჭეშმარიტად საშინელია. და საბჭოთა სასამართლო, ეჭვი არ არის, მათ დამსახურებისამებრ მიუზღავს.

„პრავდის“ მოწვინავე, 28/II

სამხედრო მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში.

ხანკოუ, 27 თებერვალი (საკდესი). ბეიპინ-ხანკოუსის რკინიგზის ფრონტზე მოვიდა ჩინეთის ახალი დამხმარე ძალები. მნიშვნელოვნად გაძლიერდა ჩინეთის ავიაციის ოპერაციები. მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა ჩინელების სასარგებლოდ. იაპონელთა წინსვლა შეწელდა. გამძაფრებული ბრძოლები სწარმოებს სინსიანიდან 30 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით. 23 თებერვალს ღამით ჩინელი ჯარები ბრძოლით შევიდნენ ცისიანში (სინსიანის ჩრდილოეთით) და გზა მოუჭრეს წინ შემოჭრილ იაპონელ ნაწილებს მათი ზურგიდან. იმ დარტყმების შემდეგ, რომელიც მიაყენა ჩინეთის ჯარებმა იაპონელთა დასავლეთ ფლანგს, იაპონელებმა დაიწყეს უკან დახევა და დასტოვეს ქალაქები: მინოიუ-სინსიანი, ხუაიცინი. დამიენში, ნანლოში და ცინფინში (ხუბეის სამხრეთი ნაწილი) მყოფი იაპონიის ჯარები გადაისროლეს ფრონტის ცენტრალურ უბანზე სილსიანისაკენ.

შანდუნის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში ჩინელთა მედგარმა წინააღმდეგობამ ჩაშალა იაპონელთა გეგმები პირდაპირი შეტევისა სიუიჯოუზე ჩრდილოეთიდან.

დიდი ბრძოლაა შანსის პროვინციის დასავლეთსა და ცენტრალურ ნაწილებში. ჩინელთა ჯარებმა წაართვეს იაპონელებს იუკოუ, კატშა (ვენშუას მახლობლად, ტაიუანის სამხრეთ - დასავლეთით). ფრონტის დასავლეთ ნაწილში მათ აიღეს სოფლები ჩანშოუცუნი და ციშანკოუ. ლინფინიდან 70 კილომეტრის მანძილზე, აღმოსავლეთით, შემჩნეული იყო იაპონელთა ცხენოსანი რაზმი. ბრძოლის შემდეგ რაზმმა ზარალი დაიხია. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ბრძოლაში მოკლულია 2 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 27 თებერვალი (საკდესი). იაპონელები ორჯერ შეეცადნენ გადასულიყვნენ შეტევაზე დინიუანის ჩრდილო - დასავლეთით (ანხუეის პროვინცია). ორივეჯერ შეტევა მოგერიებულ იქნა. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

25 თებერვალს 2.000 იაპონელი ჯარისკაცი, რომლებიც 10 საკანონერო ნავით მოვიდნენ, გადმოსხდნენ ქალაქ სანშანის მახლობლად მდინარე იანძიზე, უხუს ზემოთ, და დაიწყეს შეტევა ქალაქზე. 26 თებერვალს იაპონელთა საკანონერო ნავებს ყუმბარები დაუშინეს ჩინელთა თვითმფრინავებმა. ორი საკანონერო ნავი ჩაძირულია.

უხუს რაიონში ჩინელთა ჯარებმა მოიგერიეს იაპონელთა ჯარების შეტევა სიუანჩენზე.

შანხაი, 27 თებერვალი (საკდესი). ჩინელთა პარტიზანები უახლოვდებიან შანხაის. პარტიზანთა ზოგიერთი რაზმები მოქმედებენ 15 კილომეტრის მანძილზე ქალაქიდან. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქალაქის დასავლეთ ნაწილში გარკვევით ისმის საარტილერიო სროლა. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა ნაწილებზე ციბაოს, სინჩუანისა და სიძინის (შანხაიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ) რაიონებში. ამავე დროს შეტაკებები ხდება იაპონელთა ჯარისკაცებსა და ჩინელ პარტიზანებს შორის შანხაის ჩრდილო-დასავლეთით.

ჩინეთის არმიის ოფიცრები — ქალიშვილები, რომლებიც ფრონტზე წავიდნენ სასწავლებლებიდან.

(„სოიუზფოტო“)

ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების წინ

ლონდონი, 27 თებერვალი („პრავდის“ სპეც. კორ.). ელოდებიან რომ ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და გერმანიის მოლაპარაკება დაიწყება მიმდინარე კვირის განმავლობაში. ოფიციალური მიზანი მოლაპარაკებისა მდგომარეობს „დასავლეთ ევროპაში ზავის“ მგარანტირებელ პაქტის დადებაში. ამ მომენტში მთავრდება მოლაპარაკების პროგრამის დამუშავება, მათ რიცხვში შეთანხმების პირობები, რომელიც ითვალისწინებს დამონაწილეობას ინგლისის მხრივ და, შესაძლებელია, აგრეთვე საფრანგეთის მხრივ, აგრესორების — იტალიის და გერმანიის მიმართ.

ერთდროულად იტყობინებიან, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს წინადადების წამოყენება, რომ ოთხივე სახელმწიფო „შეთანხმდეს შეიარაღებათა შეჯიბრების შემცირებაზე“. ბრიტანეთის წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისისათვის აღიარებული უნდა იქნეს უფლება ფლოტის და საჰაერო ძალების ისეთი რაოდენობით ყოლისა, რომ ეს ძალები უდრიდეს იტალიის და გერმანიის გაერთიანებულ ფლოტს და ავიაციას; ინგლისი მიისწრაფვის აგრეთვე უზრუნველჰყოს თავისუფლება ხმელეთის ძალების ყოლისათვის იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მოეპოვებათ შეიარაღებული არმიები იტალიას და გერმანიას ცალ-ცალკე.

იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება, გათვალისწინებულია „მშვიდობიანობის პაქტის“ დადება ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და იტალიის შორის. თანახმად ამ პაქტისა თვითეული ამ ოთხი სახელმწიფოდან იღებს ვალდებულებას არ დაეცეს პაქტის სხვა მონაწილეებს და აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება იმას, რომელსაც დაეცემა მტერი. როგორც იტყობინებიან, ინგლისი და საფრანგეთი, თითქოს მოითხოვენ, რათა ამ პაქტში შეტანილ იქნეს მუხლები ევროპის ეხლანდელი საზღვრების შეუხებლობის შესახებ.

იტყობინებიან, რომ მოლაპარაკების დროს განხილული იქნება საკითხი გენერალ ფრანკოსი მეომარი მხარის უფლებათა მინიჭების შესახებ. მთელი ინგლისის პრესა დღეს აშკარად ადასტურებს, რომ შესწორებული, ბრიტანეთის გეგმა „მოხალისეთა“ გამოწვევისა ესპანეთიდან განსაკუთრებულად ხელსაყრელია ფაშისტურ ინტერვენტებისათვის. ბრიტანეთის ფლოტმა, მღებული იტალიის და გერმანიის მიერ „განსაზღვრულ პირობებზე“, ამბობს:

„ჩაურევლობის კომიტეტმა წინასწარ უნდა დაადგინოს განსაზღვრული ციფრი, ვსთქვათ 20 ათასი, როგორც კრიტერიუმი შემდგომი დასკვნებისათვის. ამ ციფრმა უნდა გამოხატოს მოხალისეთა რაოდენობა, რომლებიც ევაკუირებული უნდა იქნენ იმ მხარის მიერ, რომელსაც, თანახმად კომისიათა გამოანგარიშებისა უცხოელთა ვოლონტერების უფრო ნაკლები რიცხვი ჰყავს.

მეორე მხარემ ამ შემთხვევაში უნდა ევაკუაცია უყოს პროპორციონალურად მეტ რიცხვს კომისიების მიერ შედგენილ ციფრების შესაბამისად.

მაგალითად, თუ კომისიები გამოარკვევენ, რომ გენერალ ფრანკოს ჰყავს 60 ათასი ვოლონტერი, ხოლო ესპანეთის მთავრობას — 40 ათასი, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა გაიყვანოს 20 ათასი კაცი (წინათ დაწესებული ციფრი) იმ დროს, როდესაც გენერალმა ფრანკომ უნდა გაიყვანოს 30 ათასი“.

როგორც ამ „ფორმულის“ ტექსტიდან სჩანს, ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელ ციფრს დააწესებს თავდაპირველად ჩაურევლობის კომიტეტი. მაგრამ ყველა პირობაში ინტერვენტებს პროცენტულად მოუხდებოდათ თავისი ჯარების უმნიშვნელო რიცხვის გაყვანა.

ამას გარდა, „ბრიტანეთის ფორმულა“ ითვალისწინებს, რომ „ვოლონტერთა“ განსაზღვრული რიცხვის „ევაკუაციის“ შემდეგ გენერალ ფრანკოს ენიჭება მეომარი მხარის უფლება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ორდენების გადაცემა

27 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანდასწრებით საბჭოთა კავშირის ორდენები გადასცა დაჯილდოებულ ამხანაგებს.

ლენინის ორდენი გადაეცა უკრაინის სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გ. ი. პეტროვსკის, რომელიც, მისი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია განსაკუთრებული დამსახურებისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის წინაშე.

მ. ი. კალინინი გულთბილად ულოცავს სახელოვანი ბოლშევიკური გვარდიის ერთერთ უხუცეს წარმომადგენელს. ამხ. პეტროვსკი იღებს ორდენს და ამბობს:

— სასიამოვნოა ჩემთვის მოხუცობის ჟამს მივიღო ჩემი მუშაობის მაღალი შეფასება პარტიისა, მთავრობისა და ხალხის მხრით. ჩვენ, ძველ ბოლშევიკებს, ყოველთვის გვწამდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და გვიხარია, რომ მოვესწარით ამ გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვიხარია, რომ გვეზრდება ახალგაზრდობა, რომელმაც არ იცის რა არის ჩაგვრა, ახალგაზრდობა, რომელიც ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა, თავისი სამშობლოსი.

მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი გმირული წითელი არმიის ოცი წლისთავს, წითელი არმიისა, რომელიც იცავს საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ საზღვრებს, და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების სათავეში დგას საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ლუგანელი ზეინკალი კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი. მოხარული ვარ, რომ საბჭოთა ხელისუფლების სათავეში ვხედავ მუშა-ხარატს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ წავალთ წინ—სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. პეტროვსკი დამსწრეთა მქუხარე ტაშის ქვეშ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საბჭოთა ხელისუფლების მტერთან ბრძოლებში მამაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის და თვალსაჩინო წარმატებებისათვის მგწა ნაწილების და განყოფილებების სამხედრო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში თვალსაჩინო წარმატებების მიღწევისათვის წითელი არმიის მრავალი სარდალი, მეთაური და პოლიტ-მუშაკი. პირველად ასახელებენ თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სახელს. დარბაზში გაიმართა მქუხარე ოვაცია, ისმის ძახილები „ურა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პირველ მარშალს ამხანაგ ვოროშილოვს!“

გულთბილად ულოცავს რა ვოროშილოვს, მიხეილ ივანეს-ძე გადასცემს მას ლენინის ორდენს. ყველა დამსწრე მქუხარედ მიესალმება ამხანაგ ვოროშილოვს.

თავდაცვის რკინის სახკომის შემდეგ საჩუქრებს იღებენ მგწა შემადგენლობის გამოჩენილი მეთაურები და უფროსთა შემადგენლობა. მათ შორის არიან 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ფედკო, მე-2 რანგის არმიის კომისარი ამხ. მეხლისი, მე-2 რანგის არმიის კომისარი ამხ. შაბოშნიკოვი, მე-2 რანგის სარდალი ამხ. კულიკი, კორპუსის მეთაური ამხ. ზოტოვი, დივიზიის მეთაური ამხ. ორლოვი, დივიზიის მეთაური ამხ. ხმელნიცკი და სხვ.

მოკლე სიტყვით გამოდის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ფედკო. მადლობას აცხადებს რა მებრძოლების, მეთაურების და პოლიტმუშაკების სახელით, მაღალი საჩუქრისათვის, ამხ. ფედკო ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი სიხარულით შეხვდა წითელი არმია საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

ლენინ-სტალინის პარტიის და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით,—განაგრძობს ამხანაგი ფედკო, — ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის მხრივ შეუნელებელი ყურადღებით, მთელი არმიის კოლექტივის ძმური მუშაობით, მუშურ-გლეხური წითელი არმია გახდა ძლიერი და დაუძლეველი ძალა, რომელიც მზად არის ყოველ წუთში გაასამტეროს ის, ვინც შეეცდება საბჭოთა კავშირის საზღვრების გადალახვას.

შემდეგ ამხანაგი კალინინი გადასცემს ჯილდოებს და სიგელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიკუთვნების შესახებ პოლკოვნიკ ი. ტ. ერემენკოს. ის დაჯილდოებულია მთავრობის სპეციალური ამოცანების სანიმუშო შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დარგში და ამ საქმეში გმირობის გამოვლინებისათვის.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ემ. იაროსლავსკიმ, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით თავის სიცოცხლის 60 წლისთავზე მუშათა ხალხის და გლეხობის წინაშე რევოლუციური დამსახურებისათვის.

შემდეგ ჯილდოები ეძლევა ამხ. გ. ა. მეზენცევს, მუშურ-გლეხური მილიციის მილიციონერთა და უფროსთა შემადგენლობის იმ პირებს, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი, თავდაცვითი მრეწველობის მუშაკებს და აგრეთვე ათეულების მეთაურებს ამხ. ამხ. ჩუდინოვს, მენშენინს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქველობისა და გმირობისათვის სსრკ სახელმწიფო საზღვრების დაცვის დროს და სხვებს.

მ. ი. კალინინი მოკლე სიტყვაში ულოცავს დაჯილდოებულ ამხანაგებს.



საიუბილეო მედალი „XX წელი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა“.

სურათზე: მარცხნით — მედალის წინაპირიც მარჯვნით—მედალის მეორე პირი.

„საფრანგეთის მთავრობა რჩება საფრანგეთ-საბჭოთა პაქტის ერთგული“

შოტანის გამოსვლა პალატაში

პარიზი, 27 თებერვალი (საკდესი). პალატაში კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ გუშინ მთელ დღეს გაგრძელდა. პალატის რეაქციული ფრთის ერთერთი ლიდერი, ფლანდენი, რომელმაც ამას წინათ იმგზავრა ბერლინში, გამოვიდა სიტყვით, რომლის აზრიც საბოლოოდ გამოიხატა გერმანიისათვის ახალი დათმობების ქადაგებაში.

მაგრამ იმ საშიშროების გრძნობა, რომელიც მოსალოდნელია ჰიტლერის გერმანიის მხრით, იმდენად დიდია საფრანგეთში, რომ ფლანდენის წინააღმდეგ მკაცრი პასუხით გამოვიდნენ არა მარტო სახალხო ფრონტის პარტიების დეპუტატები, არამედ ზოგიერთ მემარჯვენე ჯგუფებისაც.

ყველაზე დამახასიათებელი ამ დისკუსიისათვის, — ამბობს პოლ რეინო,—არის ის, რომ არავის მოუთხოვნია საფრანგეთის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებათა გადასინჯვა.

საფრანგეთი მარტო არ არის. პოლონეთში იციან, საფრანგეთი რომ მოისპოს, პოლონეთიც შესწყვეტდა არსებობას. არ შეიძლება სათვალავიდან გამოვტოვოთ ჩინებული ჩეხური არმია. იგივე ითქმის ბელგიაზე. ჩა მოუვიდოდა ინგლისს, გერმანიის თვითმფრინავთათვის რომ ანტვერპენში ბაზები გაეჩინათ?

პალატის მნიშვნელოვანი ნაწილის ტაშის გრიალში რეინო შემდეგ საკილოდ იგდებს უაზრო და ერთიმეორის საწინააღმდეგო განცხადებებს ჰიტლერის ლაქიებისას საფრანგეთში, რომელნიც ცდილობენ საბჭოთა კავშირის ძლიერება დააკნინონ.

როგორც ჰავასის საagენტო იუწყება, პრემიერმა შოტანმა განაცხადა, უწინარეს ყოვლისა თავისი სრული სოლიდარობის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსთან. „ერთა ლიგის გაუბედაობა, — ამბობს პრემიერი, — გამოწვეულია მთელი რიგი დამარცხებებით, მაგრამ ერთა ლიგა რჩება მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიად, საფრანგეთის მთავრობა რჩება ერთგული საფრანგეთ - საბჭოთა პაქტისა, რომელიც რაიმე იდეოლოგიური დოქტრინის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ წმინდა თავდაცვითი პაქტს, რომელიც ღიაა ყველასათვის და დადებული ერთა ლიგის ფარგლებში. ეს პაქტი წარმოადგენს მშვიდობიანობის იარაღს“.

„საჭიროა, — ამბობს იგი შემდეგ, — უარი ვთქვათ თანამედროვე პრობლემების ისეთ გადაჭრაზე, რომელიც აიძულებდა საფრანგეთს ბედის ანაბარა მიეტოვებინა პატარა ქვეყნები“.

გვიან ღამით პალატამ 439 ხმის უმეტესობით ორის წინააღმდეგ და 170-ის თავშეკავებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებს მთავრობას. რეზოლუციაში ნათქვამია:

„იწონებს რა მთავრობის განცხადებას, ანდობს რა მას ნაციონალური ღირსების დაცვას და მშვიდობიანობის მხარის დაჭერისა და ხელშეკრულებათა პატივისცემის უზრუნველყოფას კოლექტიური უშიშროებისა და ერთა ლიგის ფარგლებში, პალატა უარჰყოფს ყოველგვარ დამატებას და გადადის დღის წესრიგზე“.

ხელმოწერილია შეთანხმება სავაჭრო ბრუნვის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკის შორის 1938 წლისათვის

ტალინი, 27 თებერვალი (საკდესი). გუშინ ტალინში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ესტონეთში და ესტონეთის სახალხო მეურნეობის სამინისტრომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო ბრუნვის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკის

ЛЕНИНСКОЕ ЗНАМЯ, 1 АПРЕЛЯ, 1938 Г. № 49 (5160)

ВЫСТАВКА ДЕТСКОГО РИСУНКА

ВЫСТАВКА ДЕТСКОГО РИСУНКА

ВЫСТАВКА ДЕТСКОГО РИСУНКА

##

ოპერაციულად ვუხელმძღვანელოთ თესვის მზადებას

აფხაზეთში მუშა-პირუტყვს ცუდად უვლიან

(სოხუმი, საქ. კორესპონდენტისაგან)

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოუწესრიგებელ მუშაობასთან ერთად, მუშა-პირუტყვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებითაც უნდა აიხსნას, რომ აფხაზეთის ყველა რაიონი ჩამორჩენილია ადრეულ ხვნაში. ცუდად მოვლილ, დასუსტებულ პირუტყვს მთელ რიგ კოლმეურნეობებში სრულებით ვერ იყენებენ ხვნაზე. მაგალითად, სოფელ იაშთუხის (სოხუმის რაიონი) კოლმეურნეობა „წითელ სვირში“ 32 ხარიდან 10 სრულებით დავარდნილია, ხოლო დანარჩენები დასუსტებული და დაუძლურებულია. ამიტომაც ამ კოლმეურნეობაში ადრეული ხვნის გეგმა მხოლოდ 20 პროცენტით არის შესრულებული.

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ მორკულას“ ბოსელი არ აქვს და მუშა-ხარები კოლმეურნეებს რიგრიგობით თავიანთ ბოსლებში დაჰყავთ. პირუტყვი დასუსტებულია, ხოლო მისი გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა გამგეობას დღემდე არ მოაგონებია.

გალის რაიონის ძიგუას სახელობის კოლმეურნეობაში პირუტყვს ცუდად ჰკვებავენ. ცუდი კვებისა და უვარგისი მოვლის შედეგად აქ პირუტყვი ძალიან დასუსტდა და მისი ხვნაზე გამოყენება შეუძლებელია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კვიტია უდარდელად ეპყრობა კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვს. იმავე რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უხეიროდაა დაყენებული ხარების მოვლა. მომვლელები ფელანგია და დესანიძე დროზე არ ჰკვებავენ პირუტყვს, და არ ასუფთავებენ ბოსელს. კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობაში ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად მუშა-პირუტყვის სულადობა შემცირდა. საკითხავია, რას აკეთებენ გალის რაიმიწგანი, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები? ამ ფაქტების შემდეგ უკვე გასაგებია, რატომაა გალის რაიონი აფხაზეთის ყველა დანარჩენ რაიონზე უფრო ჩამორჩენილი ადრეულ ხვნაში.

განსაზოგადოებული მუშა-პირუტყვის განაივებას ადგილი აქვს ოჩამჩირის რაიონში. კოლმეურნეობა „აბზიუბაბარას“ ყოფილმა თავმჯდომარემ გაჰყიდა კოლმეურნეობაში გაერთიანებული უღელი კამეჩი. მას არ ჩამორჩა კოლმეურნე მ. ხურალი, მანაც ამას წინათ გაჰყიდა კოლმეურნეობის უღელი ხარი. ამ გზით კოლმეურნეობას გამოაკლდა 16 სული მუშა-პირუტყვი. განსაზოგადოებული მუშა - პირუტყვის გაყიდვას ადგილი აქვს აგრეთვე კოლმეურნეობა „ალაშარაში“.

ეს კარგად იციან ამ სოფლების საბჭოს თავმჯდომარემ გ. ქუთელიამ და ოჩამჩირის რაიმიწგანმა (გამგე — ზარანდია), მაგრამ რატომღაც ამ ბოროტმოქმედებას ხელს აფარებენ.

მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ განსაკუთრებით ოჩამჩირისა და გალის რაიონებში ხშირად აქვს ადგილი კოლმეურნეობათა მუშა-პირუტყვის გაჩანაგებას, რომ აქ უხეშად ამახინჯებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების იმ მუხლს, რომელიც მუშა-პირუტყვის მოვლას შეეხება. არც რაიონების მიწგანებს და რაიაღმასკომებს, არც აფხაზეთის მიწსახკომს (სახალხო კომისარი ამხ. ბჟანია) დღემდე არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები კოლმეურნეობათა მუშა-პირუტყვის დაცვისათვის. მიწსახკომი მოწუვეტილია კოლმეურნეობებს და არ იცის, თუ რა მდგომარეობაშია არა მარტო მუშა-პირუტყვი, არამედ მანქანები. თესლი, როგორ მიმდინარეობს ხვნა.

გ. მერკვილაძე.

თესვის მზადებას სუსტად ხელმძღვანელობენ

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

თესლის შემოწმებისა და ჯიშიან თესლზე გადაცვლის დამთავრების ვადა 15 იანვარი იყო, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს ეს მნიშვნელოვანი საქმე მხედველობიდან გამორჩათ.

მრავალ კოლმეურნეობაში სათესლე სიმინდს გაუჩნდა ჩრჩილი. მის წინააღმდეგ კი აქ დამაკმაყოფილებლად არ იბრძვიან. ორჯონიკიძის რაიონს „ზაგოტზერნოს“ ზესტაფონის საწყობიდან გადაცვლის წესით 218 ცენტნერი თესლი უნდა მიეღო. მაგრამ თესლი იქაც დაზიანებულია, რაც აფერხებს გადაცვლის ოპერაციას.

აქ ჯერ კოლმეურნეობათა შორის თესლის გადაცვლაც არ დაუწყიათ. კოლმეურნეობებმა არც ის იციან, თუ რამდენად ვარგისიანია მათ მიერ გამოყოფილი თესლი. ქუთაისის თესლის საკონტროლო ლაბორატორია აჭიანურებს ანალიზის შედეგების გადმოგზავნას.

სოფ. ლაშის კოლმეურნეობა „პირველ მაისს“ აკლია 5 გუთანი და 4 სახნისი. გრიგალათის კოლმეურნეობა „ურყევ ძალას“ 38 გუთნიდან შეუკეთებელი აქვს 20; სოფ. ნაბადურის კოლმეურნეობაში ფიქრადაც არ მოსვლიათ შეესყიდათ დამატებით საჭირო 13 გუთანი და 16 სახნისი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცუდად უვლიან მუშა-პირუტყვს. სოფ. წყაზის კოლმეურნეობა „პირველ მაისს“ (თავმჯდომარე — ა. ხაჩიძე) 90 სული მუშა-პირუტყვიდან გაძლიერებულ კვებაზე მხოლოდ სამი სული ჰყავს გადაყვანილი. ციცქიურის კოლმეურნეობაში 44-დან — 18, ნაბადურის კოლმეურნეობაში 160-დან — 4.

რაიმიწგანის გამგე ამხ. მ. მაღრაძე სავაზაფხულო თესვის მზადებაში არსებულ ჩამორჩენას „ობიექტიური“ მიზეზებით ხსნის. სინამდვილეში კი ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოები თესვის მზადების დარგში ოპერატიულად არ მუშაობენ.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომმა და რაიაღმასკომმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი თესვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრას.

ვ. გოგიაშვილი.

კომკავშირელები კარგ მაგალითს იძლევიან

(გორჯომი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგაზაფხულო თესვის მზადებაში.

სოფ. ჰიხარულის საკოლმეურნეო კომკავშირული პირველადი ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ წარმატებით ჩაატარა საგაზაფხულო თესვის მზადება. გაწმენდილი და შემოწმებულია ლაბორატორიული წესით 85 ცენტნერი სათესლე ხორბლეული, ქერი, დიკა, შვრია. თესლი ინახება მშრალად დეზინფექციაქმნილ ბეღელში. შეკეთებულია მთელი სას.-სამ ინვენტარი. სანიმუშოდ დაყენებულია მუშა-პირუტყვის მოვლა. ფარ-თოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. კომკავშირელ მინას აკოფოვის ბრიგადას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს გიორგი ელიოზოვის ბრიგადა. ეს ბრიგადები სტახანოვურად იბრძვიან სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

სოფ. ტაძრისის მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ კომკავშირულ პირველადს ორგანიზაციაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით შეკეთებულია ყველა სახის სას.-სამ. ინვენტარი, გადარჩეულია სათესლე მასალა, სანიმუშოდ მოვლილია მუშა-პირუტყვი. თესვის მზადებაში ბეჯითი მუშაობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენეს კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდებმა გ. შაყულაშვილმა, მ. ჩუტკერაშვილმა, ანა და ვერა შაყულაშვილებმა.

კარგ მაგალითებს იძლევიან აგრეთვე სოფ. თელოვანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი კომკავშირელებიც, მათი აქტიური მონაწილეობით საკოლმეურნეო მინდერებზე გატანილია 150 ტონა ნაკელი. გაწმენდილი და შემოწმებულია სათესლე მასალა. მუშა-პირუტყვი ხორცსავსე და ღონიერია.

სოფ. ტიმოთისუბნის ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელები ვ. ხრიკაძე, შ. ლომიძე, გ. კურტანიძე, ივ. ინასარიძე და სხვები საკოლმეურნეო ბრიგადებში სისტემატურად აწყობენ გაზეთების ხმამაღლა კითხვას.

მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან მზეთამზის, ქვაბისხევის, საკირის, ჯობისხევისა და ბალანთის კოლმეურნეობებთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციებიც.

მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც. მაგალითად, სოფ. წინუბნის პირველადს კომკავშირულ საკოლმეურნეო ორგანიზაციას (მდივანი — ან. ჯიკაევი) ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაუკეთებია. კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით არა აქვს სათესლე მასალა. მუშა-პირუტყვი მოთავსებულია ცივ სადგომში. მას მოვლა-პატრონობა და მზრუნველობა აკლია. ბევრი ხარი დავარდნილია, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს.

მსგავსი მდგომარეობაა ბაკურიანის კოლმეურნეობაშიც.

საქ. ალკ ბორჯომის რაიკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საგაზაფხულო თესვის მზადებას.

გრ. ლომიძე.

ჩამორჩენილი უბანი

(რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით)

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გაძარცვება მოითხოვს მასობრივ-პოლიტიკური საგანმანათლებო მუშაობის შემდგომს აღმავლობას. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საკლუბო დაწესებულებებს.

ცნობილია, რომ იზრდება საკოლმეურნეო სოფლის შეძლებულობა, სწრაფად ადის ის თანამედროვე კულტურის საფეხურებზე, უახლოვდება ქალაქის კულტურას. სოციალიზმი სპობს წყეული წარსულის შავბნელ მემკვიდრეობას — უფსკრულს ქალაქსა და სოფელს შორის,—უფსკრულს, რომელიც გარდუვალია კაპიტალიზმის დროს.

კულტსაგანმანათლებო დაწესებულებები ისე უნდა მუშაობდნენ, როგორც ეს შეეფერება მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას. მაგრამ ეს ასე როდია. არის უამრავი სიგნალი იმის შესახებ, რომ ადგილებზე მასობრივ-პოლიტიკური საგანმანათლებო მუშაობა ჯერ კიდევ მოისუსტებს.

— მასობრივ-პოლიტიკური საგანმანათლებო მუშაობა სუსტად არის დაყენებული,—გვწერს ჩვენი სოფლკორი გრ. ფხაკაძე ზესტაფონის რაიონიდან,—მთელს რაიონში მხოლოდ ერთი კინოა და ისიც უხეიროდ მუშაობს. რაიონის ყოფილი ხელმძღვანელების, ამჟამად გამომჟღავნებული მტრების მავნებლური მოქმედებით, თეატრი, რომლის მშენებლობაც რამდენიმე წელია დაიწყეს, დღესაც არ არის დამთავრებული.

— ერთი წელია,—დასძენს სოფლკორი გრ. ფხაკაძე—რაც რკინიგზის მუშათა კლუბში არცერთი დადგმა არ ყოფილა. არც ფეროშენადნობთა ქარხნისა და შორაპნის რკინიგზელ მუშათა კლუბები მუშაობენ როგორც რიგი და წესია. ყოველივე ამას კარგად ამჩნევს რაიონის განათლების განყოფილების გამგე, მაგრამ თავს არ იწუხებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კიდევ მეტი. ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის მშრომელები, როგორც ამას ჩვენი სოფლკორი გვატყობინებს, სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ საკოლმეურნეო კლუბის შენობა რატომღაც მაღაზიად იქნა გადაკეთებული. სასოფლო საბჭოს მუშაკები ამ მნიშვნელოვან საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

მეტად აღმაშფოთებელ ამბავს გვატყობინებს ჩვენი სოფლკორი ხაშურის რაიონიდან. სოფ. კხოლევის სამკითხველო მუდამ დაკეტილია, რადგან მისი გამგე უხეიროდ მუშაობს. არ გამოდის კედლის გაზეთი, სამკითხველოში წიგნები არა აქვთ, არც ჟურნალ-გაზეთებია გამოწერილი. გარდა ამისა, სოფ. ატოცის საკოლმეურნეო კლუბის შენობა პურის საწყობად არის გადაქცეული. ყოველივე ამას ხედავს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ლურსმანიშვილი, მაგრამ ამ უმსგავსობის საწინააღმდეგოდ არავითარ ზომებს არ იღებს. ეს კი სამართლიან საყვედურს იწვევს ადგილობრივ მშრომელებში.

— სიონაღის რაიონის სოფ. წითელწყაროს კოლმეურნეობის „კომუნარის“ გამგეობა,—გვწერს სოფლკორი შ. ნატროშვილი,—სრულ უმოქმედობას იჩენს საკლუბო მუშაობის გაშლაში. სამკითხველოს მუშაობა ხომ სავსებით მივიწყებულია. მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომაშიაც“. კოლმეურნეობასთან არსებული სამკითხველოს გამგე შ. ვარამაშვილი, როცა მოესურვება, მაშინ აღებს სამკითხველოს, არ ეწევა არავითარ მუშაობას, გაზეთების ხმამაღლა კითხვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ყოველივე ამას,—დასძენს ჩვენი სოფლკორი შ. ნატროშვილი,—ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები გულხელდაკრეფილნი შესცქერიან.

უსათუოდ სუსტია რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო კლუბების გამგეებისადმი. რის გამო მასობრივ-კულტურული საგანმანათლებო მუშაობა ძალიან მოისუსტებს.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ საქ. განსახკომის კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოს ჯერ კიდევ ახლებურად არ გარდაუქმნია მუშაობა. საჭიროა ამ სამმართველოს მუშაკებმა უფრო მეტი დახმარება გაუწიონ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს, რათა კულტსაგანმანათლებო მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე იქნას აყვანილი.

ქრონიკული ბიბლიოთეკა

კამოს სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანამ დაიწყო ჭანჭიკის საჭრელი სახარატო დაზგას სერიული გამოშვება.

სურათზე: ქარხნის საუკეთესო სტახანოველი ამხ. ს. დუგაშვილი, რომელიც გეგმას 216 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გინსბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ლუშამბურგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომიული კურსების ხელმძღვანელი ევალდ ალმენდინგერი ლექციას უკითხავს კოლმეურნე-ქალებს.

ფოტო სტეპანოვის („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კოტიანეთში არ ჩქარობენ

(ცხაკაია, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონში დროულად გაიშალა საგაზაფხულო თესვის მზადება. რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა მომზადებული ხვდება თესვის კამპანიას. ისინი მომარაგებული არიან სათესლე მასალით (სიმინდი, სოია, ლობიო, არახისი). კარგ მდგომარეობაშია მუშა-პირუტყვი. ძირითადად დამთავრებული აქვთ სასოფლო - სამეურნეო იარაღების რემონტი და სხვ. ასეთები არიან სოფ. ნოსირის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“, სოფელ ზანის სტალინის სახელობის და ძველი-სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

მაგრამ მოწინავეებთან ერთად არიან ჩამორჩენილნი, რომელნიც ცუდად ემზადებიან თესვისათვის. მაგალითად, სოფ. კოტიანეთის მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას აკლია 10—11 ცენტნერი სოიასა და ამდენივე არახისის თესლი, ხოლო რაცა აქვთ, არც ის არის გადარჩეული. კოლმეურნეობას ჯერაც არ დაუწყია გუთნების, სათესებისა და სხვა სას.-სამ. იარაღ-მანქანების რემონტი. ცუდად უვლიან მუშა-პირუტყვსაც. 23 უღელი ხარიდან ამ გაზაფხულზე სამუშაოდ გამოდგება მხოლოდ 14 უღელი. კოლმეურნე ლადი ჯაიანი ცუდად უვლის მუშა-პირუტყვს, ხოლო კოლმეურნე გრიგოლ ჯაიანი კოლმეურნეობაში განსაზოგადოებულ ხარებს თვითნებურად აჭირავებს სამუშაოდ კერძო პირებზე.

კოტიანეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში გამეფებულია უდისციპლინობა. ლევან ფარცვანიამ მარშან მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 30 შრომადღე გამოიმუშავა, კოლია გაგუამ კი 35. კოლმეურნეობას ყოველგვაროი პირობები მოეპოვება იმისთვის, რომ მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში ჩადგეს, მაგრამ ცუდი და უდარდელი ხელმძღვანელობის შედეგად იგი მუდამ ჩამორჩენილია. მტს-ი და რაიმიწგანი კი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს არ ეხმარებიან.

გრ. გეგენავა.

გ. გურგენიძის ბრიგადამ გაიმარჯვა

გურჯაანი. გურჯაანის მტს-ის კომკავშირელები თესვის მზადებაში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. კომკავშირელ გ. გურგენიძის სარემონტო ბრიგადამ, რომელიც სოცშეჯიბრებაში იყო ჩაბმული, რემონტის გეგმა ვადაზე 15 დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით შეაკეთა ორი ტრაქტორი. კარგი მუშაობისათვის ბრიგადირი და ბრიგადის წევრები ჩუგოშვილი, ელიზბარაშვილი და შუღლაშვილი დააჯილდოვეს.

ამხ. გურგენიძის ბრიგადას უკვე შემოწმებული აქვს მთელი ის ფართობი, რომელზედაც მას ამ გაზაფხულზე მოუხდება მუშაობა. აგრეთვე შედგენილი აქვს ტრაქტორების მოძრაობის გრაფიკი, რათა მუშაობის დაწყებისას მანქანები არ გაცდეს.

მ. გაჩეჩილაძე.

საღებავები გარეთ კარია

ლუშეთი. სოფელ კოდიწყაროსა და ბაქაქურიანთუბანში სალეწი მანქანები ცისქვეშ ჰყრია და ფუჭდება. მჭადიჯვრის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ცეცხლაძე ერთხელაც არ დაინტერესებულა, რომ ეს ძვირფასი მანქანები დახურულ ფარდულში შეინახოს.

ჯ. ხუსროშვილი.

ს. სიგუა

თბილისის სახ. უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური სამეცნიერო ინსტიტუტის ბამგე

დაუსწრებელი პედაგოგიური განათლება მეტ ყურადღებას საჭიროებს

თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორებზე ამჟამად 8.000-მდე მასწავლებელი სწავლობს. მარტო მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგს 5.000 განცხადება შემოვიდა დაუსწრებელ სექტორებზე ჩარიცხვის შესახებ. ეს გაორმაგება ადასტურებს, თუ რაოდენ დიდია ლტოლვა დაუსწრებელი უმაღლესი განათლებისაკენ.

არასრული საშუალო სკოლების ქსელის კოლოსალური ზრდა, რასაც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში, დიდ მოთხოვნილებას აყენებს უმაღლესი განათლების მასწავლებელთა კადრებზე. ეს მოთხოვნილება სამასწავლებლო, პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა დააკმაყოფილონ არა მარტო სტაციონარული, არამედ დაუსწრებელი სწავლების გზითაც.

გასული სასწავლო წლის ბოლოს თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელმა სექტორებმა 400-მდე კაცი გამოუშვეს უმაღლესი განათლებით. უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენი სკოლა დაუსწრებელი სწავლების გზით მიიღებს უმაღლესი კვალიფიკაციის რამდენიმე ათას პედაგოგს.

უმაღლესი დაუსწრებელი პედაგოგიური სწავლება განსახკომის სისტემის ჩაშორჩენილ უბანს წარმოადგენს. დაუსწრებელი სწავლება ვერ სარგებლობს განსახკომისა და მისი ადგილობრივი ორგანოების იმ ყურადღებით, რაც ესოდენ მნიშვნელოვან საქმეს ესაჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მესამე წელიწადია არსებობენ ჩვენშა სამასწავლებლო ინსტიტუტები, ამ ინსტიტუტებთან დაუსწრებელი სექტორები დღემდე ჩამოყალიბებული არ არის. სამასწავლებლო ინსტიტუტებთან დაუსწრებელი სექტორის ჩამოყალიბებას აუცილებლად შეეძლო დადებითი შედეგები მოეცა. ეს გარემოება განტვირთავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორებს, რომელნიც ამჟამად მეტისმეტად დატვირთული არიან და ამის გამო არ შეუძლიანთ მიიღონ ყველა მსურველი. ეს გარემოება შეამცირებდა დაუსწრებელი სწავლების ხანგრძლივობას, აკადემიურ ჩამორჩენილობას და ორწლიანობას. სამასწავლებლო ინსტიტუტი უფრო ახლო იქნებოდა დაუსწრებელთან და სისტემატური ცოცხალი კავშირის დაჭერა და ხელმძღვანელობა ადვილი იქნებოდა.

დაუსწრებელთა შორის მუშაობის ყველაზე მტკივნეული საკითხია გამომცემლობის საქმე. სასწავლო გეგმა, პროგრამა და სახელმძღვანელო სწყვეტს დაუსწრებელთა აკადემიური წარმატების საკითხს. დაუსწრებელ სექტორებში მოკალათებულმა, აწ მხილებულმა ხალხის მტრებმა მუშაობის ეს ძირითადი დარგი განადგურებამდე მიიყვანეს. თბილისის ყოფილი დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობის წარმოებაში 14 სახელწოდების სახელმძღვანელოდან 10 მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც იდეოლოგიურად უცხო და მავნებლური.

დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ დღემდე ოცდაერთი სახელწოდების პროგრამა დაიბეჭდა—ოცდახუთი ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ყველა ფაკულტეტის სასწავლო გეგმები დაიბეჭდა და მიეცა სტუდენტებს. ამ დღეებში წარმოებიდან გამოვა სამი სახელმძღვანელო. ავტორები ამზადებენ ოთხ სახელმძღვანელოს და ისინი უახლოეს დროში გადაეცემა წარმოებას. გარდა ამისა, სხვა საგამომცემლო ორგანოებმა ამავე პერიოდის განმავლობაში ათამდე სახელწოდების სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა გამოუშვეს. მაგრამ ყოველივე ეს მცირეა და ოდნავაც ვერ უზრუნველჰყოფს მოთხოვნილებას.

არსებულ პირობებში გამომცემლობას არ შეუძლიან დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენტები უზრუნველჰყოს პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და სხვა ნაბეჭდი მასალით. დაუსწრებელ სექტორებს არა აქვთ საკუთარი საგამომცემლო ბაზა. ეს საქმე დანაწილებულია სხვადასხვა ინსტიტუტს შორის.

საჭიროა გამომცემლობის საქმის თავმოყრა და მისთვის მტკიცე ბაზის შექმნა. მიზანშეწონილია ეს საქმე მოეწყოს თითონ განსახკომთან, რსფსრ განსახკომის მსგავსად. რსფსრ განსახკომის უმაღლესი სკოლების სამმართველოსთან ჩამოყალიბებულია დაუსწრებელი სწავლების მეთოდკაბინეტი. ამ კაბინეტში თავმოყრილია დაუსწრებელი სწავლებისათვის საჭირო მთელი ლიტერატურის დამუშავებისა და დაბეჭდვის საქმე. რუსეთის ეს გამოცდილება ჩვენშიაც უნდა იქნას გადმოტანილი. ამით ხარჯების შემცირებასთან ერთად ბეჭდვითი პროდუქცია გაიზრდება რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც.

დაუსწრებელთა დამოუკიდებელი მუშაობისა და ამ მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმე ჯერჯერობით მოწესრიგებული არ არის. განათლების განყოფილებები და პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ დაუსწრებელებს მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნან. ჩვეულებრივ დაუსწრებლები მეტისმეტად დატვირთული არიან როგორც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობით, ისე საზოგადოებრივი მუშაობით, მათ არა აქვთ თავისუფალი საღამოები და ზოგჯერ თავისუფალი გამოსასვლელი დღეებიც კი. სადირექტივო ორგანოების დადგენილებები დაუსწრებელთა განტვირთვის, მათთვის თავისუფალი საღამოების გამოყოფის შესახებ მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდება. თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და მთელი რიგი სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ხაზით მუშაობაში დაუსწრებლებიც ჩააბეს. ამის შედეგად ამ რაიონებში დაუსწრებლებს ყველა გამოსასვლელი დღე დაკავებული აქვთ. ბორჩალოს რაიონის განათლების განყოფილებამ არ გაანთავისუფლა მასწავლებლები ზამთრის არადადგების დროს სესიებზე მონაწილეობის მისაღებად. გორის, საგარეჯოს, ბორჯომის რაიონებში დაუსწრებლები დატვირთული არიან მოზრდილთა სკოლებში მუშაობით. ყოველივე ეს ძალიან აფერხებს დაუსწრებელთა დამოუკიდებელ მუშაობას, იწვევს აკადემიურ ჩამორჩენილობას, ორწლიანობას და სხვ.

ადგილებზე ზოგიერთ რაიონში ჩამოყალიბებულია საკონსულტაციო პუნქტები, მაგრამ ეს პუნქტები სუსტად მუშაობენ. დღემდე არცერთ საკონსულტაციო პუნქტთან არ არის შექმნილი აუცილებელი სახელმძღვანელო ლიტერატურის ფონდი. საკონსულტაციო პუნქტებთან ბიბლიოთეკის შექმნა განათლების განყოფილებისა და პროფორგანიზაციის საქმეა. სათანადო თანხები ბიუჯეტით გათვალისწინებულია, მაგრამ ეს თანხები დანიშნულებისამებრ არ იხარჯება.

დაუსწრებლებისათვის დახმარების გაწევის მხრივ მისაბაძია თელავის განათლების განყოფილება. იგი დაუსწრებლებს უნაზღაურებს დაუსწრებელ სწავლებასთან დაკავშირებით გამოწვეულ საგზაო ხარჯებს. სხვა რაიონების განათლების განყოფილებები ამ საკითხზე ნაკლებად ზრუნავენ. თვით დაუსწრებლებიც ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სწავლებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც დაუსწრებელ პედაგოგურ სექტორში ჩარიცხული მსწავლებელი ორი-სამი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე კურსზე იმყოფება, არ ცხადდება სესიებზე, არ ესწრება კონსულტაციებს, საგანს არ ამზადებს და საერთოდ არ მუშაობს. რაიონებს გარდა თვით თბილისშიაც არიან ასეთი „დაუსწრებლები“. მაგალითად, თ. ალიხანაშვილი (მე-32 სკოლა), მ. ანთიძე (მე-29 სკოლა), ნ. ჩხეიძე (მე-15 სკოლა), თ. პაპავა (მე-15 სკოლა), კლ. მურუსიძე (რკინიგზის მე-5 სკოლა), ნ. გოჩლაშვილი (მე-22 სკოლა) და სხვ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პედაგოგები და არაპედაგოგებიც, რომელნიც დაუსწრებელ სწავლებაში არიან ჩაბმულნი, ფრიადზე აბარებენ ყველა საგანს. ჩვენს დაუსწრებელ ფრიადოსანთა შორის აღსანიშნავია, მაგალითად, ქ. ქუთაისიდან—პრ. რუხაძე (სამხედრო პირი), ს. ვანიძე, ნ. შიშიტაშვილი, მასწავლ. ალ. ბექაია, ი. მესხი, რ. არაქელიანი, გ. სარქისოვი, ო. შენგელაია, ნ. ფირცხალავა, კ. ჩაჩუა და სხვ.

საქ. განსახკომმა დაუსწრებელ სწავლებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და ეს დარგი ჩამორჩენილობიდან გამოიყვანოს.

მცირემცოდნეთა სკოლები სუსტად მუშაობენ

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთში, განათლების განყოფილების აღრიცხვით, წერა-კითხვის 324 უცოდინარია და 1291 მცირემცოდნე. რაიონში არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის 10 სალიკვიდაციო სკოლა, ხოლო 23 სკოლა—მცირემცოდნეებისათვის.

ჩვენს ხელთ არის მთელი რიგი ფაქტები, რომ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები უპასუხისმგებლოდ და გულგრილად ეკიდებიან სკოლების მუშაობას. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია 1937 წლის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს რაიონში ცოტა რამეა გაკეთებული.

სოფ. გულიანის სკოლაში (მასწავლებელი ნ. სარჯველაძე) სიით ირიცხება 16 მსმენელი, აქედან მეცადინეობას ესწრება მხოლოდ 6.

ლანჩხუთის მცირემცოდნეთა სკოლაში მასწავლებელ პლატონ წერეთელსანს გეგმით 1937 წლის 1 დეკემბრამდე 48 მეცადინეობა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ 28 ჩაატარა. დეკემბრის შემდეგ კი არაფერი არ გაუკეთებია. სოფ. ეწერისა და ჯუმუყვეთის მცირემცოდნეთა სკოლების მუშაობა მთლიანად ჩაშლილია, ხოლო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვალ. მურმანიძე და სკოლის დირექტორი ბენ. ბარამიძე გულხელდაკრეფილი შესცქერიან ამ მდგომარეობას. სუსტია მეცადინეობის აღრიცხვაც. ასე, მაგალითად, არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ციცინო კეცხოველმა სკოლის დირექტორს ცნობა წარუდგინა, სკოლაში 80 მეცადინეობა ჩავატარეო. ნამდვილად კი მხოლოდ 6 მეცადინეობა ჰქონდა ჩატარებული.

სკოლები უზრუნველყოფილი არ არის სახელმძღვანელოებით. 1937-38 სასწავლო წელს გეგმით ლანჩხუთის რაიონს მცირემცოდნეთა სკოლებისათვის უნდა მიეღო 324 წიგნი, აქედან მიღებულია მხოლოდ 90. არაერთხელ მიმართეს სახელგამს, მაგრამ იქაური მუშაკები თავს არ იწუხებენ, რომ სკოლები სასწავლო ნივთებით მოამარაგონ.

ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილება სუსტად ხელმძღვანელობს მცირემცოდნეთა სკოლების მუშაობას. რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მას ერთხელაც არ დაუსვამს საკითხი იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები ხელს არ უწყობენ სალიკვიდაციო სკოლების მუშაობას.

განათლების განყოფილების მუშაკებს სოცშეჯიბრება მხოლოდ ამ ბოლო დროს გაახსენდათ და მახარაძის რაიონს აცნობეს, სოცშეჯიბრებაში გიწვევთო. ფაქტიურად კი ცალკე სკოლებსა და მსმენელებს შორის სოცშეჯიბრების გაშლისათვის არაფერი გაუკეთებიათ.

ის. ოკუისწრაფიშვილი

საგზაო მუშაკების რესპუბლიკური შეკრება ახალციხეში

(ახალციხე, ჩვენი კორ. ქოჩრესპონდენტისაგან)

საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა 1937 წელს ახალციხის რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

რაიონმა შესძლო ძირითადად მოეხდინა უგზოობის ლიკვიდაცია და ახლა თითქმის ყველა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობათა უმეტესობა დაკავშირებულია რაიონის ცენტრთან საავტომობილო გზებით. რაიონში გასულ წელს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მუდმივ საგზაო-საკოლმეურნეო ბრიგადებს და უმთავრესი სამუშაოები მათი საშუალებით არის შესრულებული. როგორც ახლად გაყვანილი, ისე არსებული გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ახალი მშენებლობისა და შეკეთებული გზების ხარისხი სათანადო სიმაღლეზე დგას. უზრუნველყოფილია გზების მოვლა-შენახვის საქმე მთელი წლის განმავლობაში, რაც საგზაო-საკოლმეურნეო ბრიგადების სწორ ორგანიზაციასა და მათ სწორად გამოყენებას უნდა მიეწეროს.

საგზაო მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ ცაკთან არსებულმა უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლმა რესპუბლიკურმა შტაბმა ახალციხის რაიონი დაჯილდოვა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით და 15 ათასი მანეთით ამ მშენებლობაში წარჩინებული სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობებისა და ცალკეულ ამხანაგთა წასახალისებლად.

18 თებერვალს ახალციხეში მოწვეული იყო ძირეული გზების მშენებელ მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრებას დაესწრნენ რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები — კოლმეურნეები და საიხვიხერო-ტექნიკური მუშაკები—ორასზე მეტი კაცი.

მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ა. კ. ზილეს მოხსენება 1937 წელს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით წარმოებული საგზაო მშენებლობის შედეგების შესახებ და ახალციხის რაიაღმასკომის საგზაო განყოფილების გამგის ამხ. პ. ჯიჭიძის თანამოხსენება.

შეკრება უაღრესად საქმიან ხასიათს ატარებდა. მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 25 კაცი. ისინი ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ნაკლოვანებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს საგზაო მშენებლობაში, სახავდნენ პრაქტიკულ წინადადებებს მათ გამოსასწორებლად და შემდგომში მუშაობის გასაძლიერებლად. ცალკე რაიონთა წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას.

გამოქვეყნებული იყო აგრეთვე რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება რაიონისათვის მიცემული ფულადი ჯილდოს (15 ათასი მან.) მოწინავე სოფლსაბჭოებსა, კოლმეურნეობებსა და საუკეთესო სტახანოველებსა და დამკვრელებს შორის განაწილების შესახებ.

ფულადი ჯილდო მიეცა 96 კაცს. მოწინავე სასოფლო საბჭოები: სუფლისის, წყალთბილის, საძელის, ურაველის, აწყურისა და ვალესი დაჯილდოვებულ იქნენ საკოლმეურნეო რადიომიმღები აპარატებით.

შეკრებამ მიიღო მოწოდება რესპუბლიკის ყველა რაიონის, სოფლსაბჭოს, კოლმეურნეობისა და საგზაო მშენებლობაში ყველა შრომაუნარიანი მოსახლეობის, ახალ ხანში რესპუბლიკაში უგზოობის სრული ლიკვიდაციის მიზნით.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, გზატკეცილთა სამმართველოს და უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლი რესპუბლიკური შტაბის წარმომადგენლები.

გ. მიქაბერიძე, რომელმაც ჭალთა მორის პირველი ადგილი დაიჭირა მეთხილმამრავლეობაში შეჯიბრებაში საქართველოს პირველობაზე.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ნამქერი

27 თებერვალს მთელ საქართველოში გრძელდებოდა წინა დღით დაწყებული ნამქერი. ყველგან, შავი ზღვის სანაპიროზეც კი, მნიშვნელოვნად აცივდა. 26 თებერვალს სოხუმსა და გაგრაში ტემპერატურამ დაიწია მინუს 9°-მდე, 27-ს სოხუმში იყო მინუს 2° და გაგრაში—0°. აღმოსავლეთ საქართველოში ყინვა აღწევს 14° (ყაზბეგი, გუდაური).

ცალკეულ რაიონებში გზები წანამქრულია და სატრანსპორტო კავშირი დაშორებულ სოფლებთან დროებით შეწყვეტილია. მოსახლეობა ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებს გზების გაწმენდაში.

გათუმი, 27 თებერვალი (საქ. დესი). მეორე დღეა აჭარის ყველა რაიონში მოდის თოვლი, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი ძალის ქარი. ხულოს მთიან რაიონში თოვლის სიღრმე ერთ მეტრზე მეტია, ხოლო ბათუმში—50 სანტიმეტრი. გარდა ხულოს რაიონისა, სატრანსპორტო კავშირი არცერთ რაიონთან არ შეწყვეტილა.

ბათუმის ქალაქის საბჭომ სასწრაფო ზომები მიიღო თოვლის გაწმენდისათვის.

ჭიათურა, 27 თებერვალი (საქ. დესი). ჭიათურის რაიონში ქარბუქი მძვინვარებს. გზები წანამქრულია. ცალკეულ სოფლებთან კავშირი შეწყვეტილია. თოვლის სიღრმე ჭიათურაში ერთ მეტრს აღემატება.

ბოგდანოვკა, 27 თებერვალი (საქ. დესი). რაიონში დიდი თოვლი მოდის, ქარბუქია. თოვლის სიღრმე ალაგ - ალაგ 1½ მეტრს აღწევს. მთელ რიგ სოფლებში მიმავალი გზები წანამქრულია. ადგილობრივი მცხოვრებლების სიტყვით, ასეთი დიდი თოვლი 10 წელიწადია არ ყოფილა.

ჭუთაისი, 27 თებერვალი (საქ. დესი). ჭუთაისის რაიონში გრძელდება ნამქერი. ჰქრის დასავლეთის 6 ბალიანი ქარი. მნიშვნელოვნად აცივდა.

„ვოლოჩაევკის დღეები"

ორდენოსანმა რეჟისორებმა ძმებმა ვასილიევებმა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ჩაპაევის ბრძოლების ეკრანიზაციით საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ამ ფილმმა საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა. „ჩაპაევის" დადგმის შემდეგ ვასილიევებმა გულდასმით იმუშაეს სამოქალაქო ომის ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორიცაა იაპონელთა წინააღმდეგ სოფელ ვოლოჩაევკასთან გამართული ბრძოლები.

ვასილიევებმა სცენარი ქარგად დაამუშავეს, ეპიზოდები და გმირები რეალურად გამოჰკვეთეს და სწორედ ამის შედეგად ფილმმა გაიმარჯვა.

ჩვენი წარსული ბრძოლების ეკრანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სამშობლოს დაცვის გრძნობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის. „ვოლოჩაევკის დღეები" გადმოგვცემს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იაპონელი იმპერიალისტების მხეცურ ბრძოლას. ამ ფილმს, მეტადრე ახლა, როცა იაპონელი ფაშისტები ამზადებენ ანტისაბჭოთა ომს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფილმი პირველი კადრიდანვე იპყრობს მაყურებელს. ის მტკიცე დრამატიულ ხერხემალზეა აგებული. ამ სურათში რეჟისორებმა შესძლეს მოეცათ არა ერთი და ორი გმირი, არამედ მთელი გმირული მასა, რომელიც დაუღალავად იბრძოდა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ.

კინოსურათი საინტერესოდ იწყება. ვლადივოსტოკის მშვიდი ღამეა. ზღვა ოდნავ ღელავს. გემი მიუახლოვდა ნავსადგურს. იაპონელი პოლკოვნიკი უსიჟიმა რუს თეთრგვარდიელის დახმარებით აწყობს საზიზღარ პროვოკაციას. ვლადივოსტოკში ჰკლავენ იაპონელ მესაათეს და, ვითომ იაპონელთა დახმარების მიზნით, პოლკოვნიკი უსიჟიმა გემიდან გადმოსხამს დესანტს.

უსიჟიმას როლს კარგად ასრულებს მსახიობი ლ. სვერდლინი.

უსიჟიმა საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერია. იგი ათასგვარ პროვოკაციას აწყობს და აწიოკებს შორეულ აღმოსავლეთის მშვიდობიან მცხოვრებლებს. ფილმში განსაკუთრებული სიძლიერითაა წარმოდგენილი იაპონელ დამპყრობთა სიმხეცე და მთელი ის საშინელებანი, რაც მოუტანეს იმპერიალისტებმა სამოქალაქო ომის პირობებში რუსეთის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ვ. ი. ლენინი შორეული აღმოსავლეთის ბოლშევიკებისადმი მიწერილ წერილში გადაუდებელ ამოცანად აყენებდა იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლას და ამ მხარის რაც შეიძლება მალე განთავისუფლებას. შორეული აღმოსავლეთის განსათავისუფლებლად ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ამხიდრდა მთელი მოსახლეობა, რომელმაც წითელარმიელთა დახმარებით განდევნა იაპონელები. კინოსურათში პარტიზანთა რაზმისა და იაპონელთა შეტაკებები საინტერესოდ არის ნაჩვენები.

დრამატიულად უფრო მძაფრია ფილმის მეორე ნაწილი. პარტიზანთა ხელმძღვანელის ბოლშევიკ ანდრეისა და იაპონელი პოლკოვნიკის შეხვედრის სცენის შემდეგ მოქმედება უფრო მძაფრდება. ამ შეხვედრაში დამაჯერებლადაა წარმოდგენილი იაპონელ იმპერიალისტთა მთელი სიყალბე, თვალთმაქცობა და ვერაგობა. საინტერესოდაა მოფიქრებული სცენა მთაზე, სადაც პარტიზანები უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ იაპონელ ჯარისკაცებს. ასევე კარგია სურათის ფინალი, როცა დამარცხებული მტერი უკანვე ბრუნდება თავის ქვეყანაში.

„ვოლოჩაევკის დღეები" მსახიობთა თამაშითაც დიდად საყურადღებოა. ბოლშევიკი ანდრეი ფილმში კარგად და სიყვარულით არის წარმოდგენილი. ანდრეის როლს მოხდენილად ასრულებს მსახიობი ნ. დოროწინი. იაპონელ ტყვეს დამაჯერებლად ანსახიერებს მსახიობი ნ. ხაიდაროვი. ასევე კარგია მაშას როლში ვ. მიასნიკოვა.

„ვოლოჩაევკის დღეების" დადგმით ძმებმა ვასილიევებმა საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი გადაშალეს.

კლ. გოგიავა

კადრი ფილმიდან „ვოლოჩაევკის დღეები". მსახიობი ნ. დოროწინი ანდრეის როლში.

თბილისის განაპირა ქუჩებში.
ფოტო—ვ. გინზბურგისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ფრაგმენტები ცხოვრებიდან

ჭადრაკი

ჟურნირი თბილისის პირველობაზე

23 თებერვალს შესდგა დაუმთავრებელ პარტიების გათამაშება. ყაიმზე შეთანხმდნენ ვეიზერი—ფირცხალავა და ასოვსკი—არუთინოვი.

გაუთამაშებლად დასთმეს პარტიები: მირზაევმა — ებრალიძესთან, ვეიზერმა და ნერსესოვმა ხოტელაშვილთან, ხოლო აბრამიან—ხოტელაშვილის პარტია ყაიმით დამთავრდა.

შიშოვმა მოუგო როლოვს, სერედამ როლოვსა და ფალავანდიშვილს.

ასოვსკი—ღამბარაშვილისა და ფირცხალავა—ნერსესოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა, ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მირზაევ—სოროკინის პარტია, რომელიც მირზაევმა 80 სვლამდე გააჭიანურა.

ფ

24 თებერვალს შესდგა წინა ტურებში გამოტოვებული პარტიების გათამაშება.

პირველი დამარცხება იგემა ხოტელაშვილმა ფალავანდიშვილთან.

აბრამიანმა ძალზე შეავიწროვა მირზაევის პოზიცია, მოიგო ფიგურა და პაიკი, რის შემდეგ მირზაევი დანებდა. როლოვმა ვერ გამოიყენა თავისი პოზიციის მრავალი შესაძლებლობა და წააგო ასოვსკისთან.

საინტერესო იყო ფირცხალავა—შიშოვის შეხვედრა. დებიუტშივე შიშოვმა რამდენიმედ უარესი პოზიცია მიიღო. შიშოვმა ნაადრევად გასცვალა კუ მხედარში, ეს შეუმჩნეველი შეცდომა კარგად გამოიყენა ფირცხალავამ და მალე შიშოვმა წააგო ფიგურა. პარტია გადაიდო ფირცხალავასთვის მოსაგებ მდგომარეობაში. საინტერესო იყო ვეიზერ — ღამბარაშვილის პარტიაც. ცხარე შებრძოლების შემდეგ პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

ფ

მეექვსე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: ხოტელაშვილი და აბრამიანი+3 ½ (1 გად.), სერედა, ასოვსკი, ნერსესოვი და ებრალიძე+4. ფალავანდიშვილი+3, ფირცხალავა, ვეიზერი და სოროკინი+2 ½ (1 გად.). შიშოვი+2 (4 გად.), ღამბარაშვილი+1 ½ (2 გად.), მალუნცევი+1 ½ (1 გად.), არუთინოვი+1 ½, მირზაევი და როლოვი+1.

ზამთარი თბილისში

ნაგვიანევმა თოვლმა თეთრი სამოსელით დაჰფარა დედაქალაქი. გაკრიალებული პროსპექტები და მოედნები, მარადმწვანით აფერადებული ბაღები და ხეივნები, სახლთა სახურავებს, სტადიონები, ირგვლივ ქალაქის მთელი შიდა-მოება ზამთრის პეიზაჟით შეიცვალა.

25 თებერვალს ნაშუადღევიდან 26 თებერვალს ნაშუადღევამდე განუწყვეტლივ თოვდა და თოვლის სიმაღლემა 20 სანტიმეტრის სისქეს მიაღწია. საღამოს თოვა შესცვალა ჭარბუქმა. დღისით ქვაფენილებზე დადებული თოვლი საღამოს ყინვამ გასისპა და შეუძლებელი იქნებოდა ჭიანში სიარული, რომ დასუფთავების ტრესტის მუშათა არმია არ მოსდებოდა ჭიუხებსა და მოედნებს ნაბერხის მოსაყრელად. გაძნელდა ავტომობილების მოძრაობაც და ღამით შესწყდა ტრამვაის მუშაობა. მხოლოდ ზოგიერთ ბაზზე, სადაც ტრამვაის დირექციამ მოასწრო ლიანდაგის განთავისუფლება თოვლისაგან, დადიოდნენ ტრამვაის ვაგონები.

ნაგვიანევმა თოვლმა ყველაზე მეტი სიბარული პატარა ცელქებს არგუნა. ბავშვებმა ციგები მონახეს და დაღმართ ჭურებზე სასრიალოდ გამოვიდნენ.

მწერალთა კავშირში

2 მარტს, საღამოს სრულ 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების სახლში (მაჩაბლის ქ., № 13) გაიმართება კამათი ამხ. ვ. წულუკიძის მოხსენების გარშემო თემაზე: „1937 წლის ქართული პოეზია".

კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: კონ. ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია, სანდრო ეული, ვალ. გაფრინდაშვილი, ი. ლისაშვილი, ბესო ეფიტაშვილი ჭიაური, სოლ. თაბაძე, ერ. ასტვაცატუროვი და სხვ.

შესვლა თავისუფალია.

საქმესის გასწორება

„კომუნისტის" 28 თებერვლის ნომერში მოთავსებულ ცნობის „სსრ კავშირის პროკურატურაში" უკანასკნელ აბზაცის წინა აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულია სსრ კავშირის პროკურატურის მიერ და საქმესთან ერთად გადაგზავნილია სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში სასამართლოს ღია სხდომაზე განსახილველად".

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. ნეზონი

1/III	წარმოდგენა 113	გმირთა თაობა
4/III	წარმოდგენა 114	ოჯელო
5/III	წარმოდგენა 115	ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
1 და 2 მარტს, ტალონები № 58, 59
ძველი ვოდევილების საღამოები
I. ოინბაზი. ვოდევილი 1 მოქმ.
II. მშვენიერი ელენეს მაძიებელნი კომედია 1 მოქმ.
დასაწყისი საღ. 9 ს.
3, 4, 5 და 6 მარტს, ტალონები № 60, 61, 62, 63
სომხეთის სსრ სიმღერების, ცეკვისა და მუსიკის საღამოები
დაწვრილებით აფიშებში.
დაიწყო პილეთების წინასწარი გაყიდვა
დასაწყ. საღ. 9 ს.

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმოვანი მხატვრული ფილმი
ხვარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ვოლოჩაევკის დღეები
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი სასპორტო კომედია „მეკარე" დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვ. თავდაცვითი ფილმი თუ ხვალ ომი დაიწყოს დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	1) ხმოვ. დოკუმენტალ. ფილმი „ლენინი" 2) ხმოვ. ფილმი ნოვოსელები გმირ მფრინავებზე
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვ. ფილმი ვეფხვის ბილიკით
არსენა კომუნალური ქ. № 9	ახალი ხმოვ. ჟურნალი № 6.
ახალი ამბები	

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ
მშრომელთა საყურადღებოდ
სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულია მშრომელთა სიცოცხლის ნებაყოფლობითი კოლექტიური დაზღვევის ახალი წესები.
დაზღვევის ახალი წესები მნიშვნელოვნად ამარჯვებენ დაზღვევის პირობებს და აუართოვებს შეღავათებს დაზღვეულთათვის.
ახალი წესით დაზღვევის ხელშეკრულება დაიდება იმ პირობით, თუ კოლექტივში მომუშავეთა პირადი შემადგენლობის არანაკლებ 40%-სა გამოსთქვამს წერილობით სურვილს დაეზღვიონ ერთიან თანხაში და გადაიხდიან თავიანთ პირველ საავანსო შესატანს. კოლექტივის ყველა დანარჩენ მშრომელებს, მიუხედავად მათი რაოდენობისა, რომლებსაც არ სურთ დაზღვევა კოლექტივის მიერ მიღებული ერთიან თანხით, დაზღვევის ახალი წესით ეძლევა საშუალება დააზღვევონ თავისი სიცოცხლე იმავე კოლექტივში—სასურველი ნაკლები თანხით.
ᲡᲐᲮᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ
ახალი წესები ითვალისწინებენ წამატების გაცემას: იმ თანხასთან შეფარდებით, რომელიც გასაცემია უბედური შემთხვევით გამოწვეულ ინვალიდობისათვის—ერთ წელზე ზევით შეუწყვეტელ დაზღვევისათვის 25%-ის რაოდენობით და ორ წელზე ზევით შეუწყვეტელ დაზღვევისათვის 50%-ის რაოდენობით.
მშრომელებს, რომლებმაც დასტოვეს საწარმო ინვალიდობის გამო, შეუძლიათ გააგრძელონ თავისი სიცოცხლის დაზღვევა კოლექტივის სადაზღვევო წლის დამთავრებამდე და კიდევ იმდენივე ხნის განმავლობაში, რამდენი დროის განმავლობაშიაც სამუშაოზე ყოფნის დროს იყვნენ შეუწყვეტლად დაზღვეულნი.
დაზღვევა მიიღება 500, 1000, 2000, 3000, 4000 და 5000 მან. თანხით.
დაწვრილებითი ცნობები და განმარტებები ახალი წესით მშრომელთა სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევის შესახებ შეიძლება მიიღოთ სახდაზღვევის ყველა ქალაქის და რაიონის ინსპექციაში, აგრეთვე სამუშაოს ადგილზე სესხის დამხმარე კომისიებში.
ჩაებით სიცოცხლის კოლექტიურ დაზღვევაში სამუშაო ადგილის მიხედვით.
1038 სახდაზღვევის საქართველოს სსრ სამმართველო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲚᲙᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
1/III წარმ. № 113 სამანიშვილის დედინაცვალი
4/III წარმ. № 114 შური
დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲚᲙᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
ერთდრ. ტალ. № 3
1/III დღისით ბალეტი ესმერალდა დასაწყ. 12 საათზე.
1/III მუდმ. ადგ. ტალონი № 119 სალამოს ღაისი
2/III მუდმ. ადგ. ტალ № 120 სიმფონიური კონცერტი დირიჟორი—ბ. ავდისოვი სოლისტები: დ. გამრეკელი და ბარნაბიშვილი
დასაწყისი საღ. 8 საათზე

ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
1/III წარმ. № 113 სამანიშვილის დედინაცვალი
4/III წარმ. № 114 შური
დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

Ჯ. ᲓᲔ ᲔᲚᲔᲜᲘ
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ჰ. № 8 17278

ᲡᲐᲮᲪᲘᲠᲙᲘ, ტ. 3-11-44
ᲓᲦᲔᲡ 1-ᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲘ
ᲓᲦᲘᲡᲘᲗ— ორი წარმოდგენა
დასაწყისი პირველისა—დღ. 12 ს.
მეორისა — „ 2 ს.
ახალი პროგრამა
ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ
უკანასკნელი გამოსათხოვარი გამოსვლა
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ—დასაწყ. 8 ს. 30 წ.
დიდი მრავალფეროვანი პროგრამა
ახალი ნომრები
მწვრთნელ ეკლერის
ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᯒᲒᲣᲤᲘᲡ
გამოსათხოვარი გამოსვლა აგრეთვე მთელი დასი
2 ძარტს დიდი წარმოდგენა

სსსრ განსახკომთან არსებული სალექციო-საექსკურსიო ბიურო

აწყობს ლექციებს, საუბრებს და მოხსენებებს (ეპიზოდურსა და ციკლურს) მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურისა და სხვა საკითხებზე.

აწყობს ექსკურსიებს თემატური შინაარსისას (გარდა ტურისტულისა) ლექტორების თანხლებით.

ლექციებს და ექსკურსიებს ატარებენ პროფესორები და პედაგოგები. საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნით ლექტორები გაიგზავნებიან საქ. სსრ ყველა რაიონში.

შეკვეთები მიიღება უშუალოდ, ქ. თბილისი, რუსთაველის, 31, განსახკომი, ოთახი № 34, ტელეფ. 3-54-02 და განსაკუთრებული რწმუნებულების მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო რწმუნება ბიუროსაგან.
1521 2—1 სალექციო-საექსკურსიო ბიურო.

1 იანვრის, 23 იანვრისა და 1 მაისის გამოსასვლელი დღეების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, გამოსასვლელი დღეების დადგენილი წესის გამონაკლისად, ექვსდღიურების უკანასკნელ დღეებში გამოსასვლელ დღეებად ჩაითვალოს: 1 იანვარი 30 დეკემბრის ნაცვლად, 23 იანვარი 24 იანვრის ნაცვლად და 1 მარტი—თებერვლის თვის ბოლო გამოსასვლელი დღის ნაცვლად. (საკდესი).

მშრომელთა საჩივრებს აბუჩად იგდებენ

საგამომძიებლო ორგანოები, პროკურატურა და მილიციის განყოფილებანი ყოველდღე მშრომელთა უარებელ განცხადებებსა და სიგნალებს ღებულობენ. ისინი მოითხოვენ სასწრაფო გამოხმაურებასა და კანონიერ დახმარებას, მაგრამ ზოგიერთი რაიონის პროკუროორი და მილიციის რაიგანყოფილების მუშაკები ხშირად დანაშაულობრივ დამოკიდებულებას იჩენენ მშრომელთა საჩივრებისადმი, აბუჩად იგდებენ მათს კანონიერ მოთხოვნებს. რედაქციებიდან გაგზავნილი მამხილებელი წერილების გამორკვევას ხშირად აჭიანურებენ, ან უყურადღებოდ სტოვებენ.

„კომუნისტის" რედაქციამ გასული წლის 14 სექტემბერს დუშეთის რაიპროკუროროს ამხ. ხაფავას გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაუგზავნა სოფლკორ შ. აფციაურის მამხილებელი წერილი. ავტორი აღნიშნავდა, რომ სოფ. ჯუღიშის ამხ. ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ, შრომადღეებზე კუთვნილ პროდუქტებს არაწესიერად ანაწილებენო და სხვ. როგორც ვხედავთ, წერილი სერიოზულ საკითხებს ეხებოდა. მაგრამ გამომძიებელ ა. გვათუას, რომელსაც აღნიშნული წერილის გამორკვევა ჰქონდა დავალებული, თავი არ შეუწუხებია. გასული წლის 21 ნოემბერს ჩვენს მიერ გაგზავნილ მოგონებაზე რაიპროკურორმა ამხ. ხაფავამ გვაცნობა: „წერილში აღნიშნული ფაქტების გამორკვევა სწარმოებს და შედეგს დამატებით გაცნობებთო", მაშინ როდესაც აღნიშნული კორესპონდენციისათვის ჯერ ხელი არავის ეხლო.

რედაქციას ეს „დამატებითი ცნობა" დღესაც არ მიუღია. როდესაც გამომძიებელ ა. გვათუას ვკითხეთ, მან განაცხადა: „რა ვქნა, სოფელი, რომელსაც წერილი ეხება, შორს არის და ჯერჯერობით ვერ წავედიო". სჩანს, ა. გვათუა ელოდება სოფ. ჯუღიშის გადმოტანას დუშეთში ან და შიგ პროკურატურა ძი.

მოქ. შ. ბერიანიძეს 1934 წელს ცხენი დაეკარგა. ცხენის პატრონმა ამავე წლის 30 სექტემბერს აცნობა ეს დუშეთის რაიმილიციის უფროსს ამხ. ნ. ვაჩნაძეს. მიუხედავათ იმისა, რომ შ. ბერიანიძემ ცხენის ქურდი ტ. სურაშვილი აღმოაჩინა, მილიციის განყოფილების ბიუროკრატებმა საქმის გამორკვევა 2 წელიწადს გააჭიანურეს და მხოლოდ 1936 წლის 20 მარტს გადასცეს სახალხო სასამართლოს. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოირკვა, რომ რაიმილიციის მიერ 2 წლის განმავლობაში „გამორკვეული" მასალა ხელახალ გამორკვევას მოითხოვდა. ამიტომ აღნიშნული საქმე სასამართლომ დამატებით გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცა.

პროკურატურის უთავო მუშაკებმაც 2 წელიწადზე მეტს სჯიჯგნეს აღნიშნული საქმე, ბოლოს მან გამომძიებელ ნიკოლაძემდე „მიაღწია". ამანაც, როგორც „გულშემატკივარმა", ანგარიში გაუწია „დაღლილ" საქმეს და მოასვენა ისე, რომ მას ხელს აღარავინ ჰკიდებს.

გასული წლის 22 მაისს გამომძიებელ ტ. ხაინდრავას გადასცეს პროკურატურაში შესული ცნობა, რომ სოფ. ხეობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის ქონებას ანიავებენო. თანახმად პროკუროორ ამხ. ხაფავას რეზოლუციისა, გამომძიებელ ხაინდრავას 10 დღეში უნდა დაემთავრებინა ამ საქმის გამორკვევა, მაგრამ მან 3 თვის განმავლობაში არაფერი გააკეთა და 21 აგვისტოს წერილი გამომძიებელ გვათუას გადასცა „შესამოწმებლად".

გამომძიებელ ნიკოლაძეს „კომუნისტის" რედაქციისაგან გასული წლის 1 ივნისიდან 15 აგვისტომდე მიეღია 5 წერილი, რომლებიც დაუყოვნებლივ გამორკვევას მოითხოვენ, მაგრამ ნიკოლაძეს ისინი დღესაც ხელუხლებელი უწყვია უჯრაში.

დუშეთის რაიაპროკურატურის მშრომელთა საჩივრებისადმი უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულების შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ აღნიშნულიც კმარა.

საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის პროკუროორმა ამხ. ტალახაძემ სათანადო ზომები მიიღოს.

მ. საკარული

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას.-ფსლო.-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელ. ავტორებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1448